სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ივნისი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/81

,,2024-2025 სასწავლო წლისთვის ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 24 მაისის №01-02/66 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2024 წლის 23 მაისს გაფორმებული №04-07/128 ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 04 ივნისის №619522 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,2024-2025 სასწავლო წლისთვის ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 24 მაისის №01-02/66 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ ბრძანების მე-2 პუნქტს დაემატოს ,,ი'' პუნქტი შემდეგი შინაარსით:

,,ი) ნაზიბროლა ბერიძე-გაბაიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსი.''

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**